



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია



*5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1

ტელ: 5(99) 856 577

ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 1112-ს

09 / ნოემბერი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საპატიო ჩხოროწყუელის“ წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლისა და „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საპატიო წოდების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 1 ოქტომბრის №23 დადგენილების შესაბამისად **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:


1. მიენიჭოს „საპატიო ჩხოროწყუელი“ წოდება ქვემოთჩამოთვლილ პირებს:

- ა) დემურ ანთია - ხელოვანი, სკულპტორი, ეროვნული მოძრაობის ვეტერანი;
- ბ) რევო ესართია - მხატვარ-დიზაინერი, ა(ა)იპ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ პედაგოგი ხელოვნების დარგში;
- გ) ნუგზარ ჟვანია - ჟურნალისტი, პუბლიცისტი, შრომის ვეტერანი;
- დ) ბაბუცი თოლორდავა - განათლების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, შრომის ვეტერანი, პენსიონერი;
- ე) გიორგი გახარია - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი, წარმომობით ჩხოროწყუელი;
- ვ) ბესიკ გაბიანი - საქართველოს შსს სასაზღვრო პოლიციის მფრინავი- მაშველი.

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. N12)

მერი



დათო გოგუა